# სახალხო გაზეთი

№ 584 ხუთშაბათი, 26 აპრილი, 1912 წ. № 584

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები ან განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ...

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ... „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## „სახალხო გაზეთის"

რედაქცია ამით აცხადებს, რომ დაუბეჭდავ ხელთ-ნაწერების შესახებ

ავტორებთან არავითარ

მიწერ-მოწერას არ ჰმართავს,

თუნდაც საპასუხოდ მარკაც იყოს გამოგზავნილი.

დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერები არ ინახება. **რედაქცია.**

---

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

## სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

## ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

---

**კნ. ეკატირინე ზაქარიას ასული ერისთავისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ქვირფას და დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი საყვარელ მამის

## თავად ნიკოლოზ გიძინას ძის ერისთავისას.

გადახდილი იქნება პანაშვიდი 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 27 აპრილს დილის 10 საათზე გამოასვენებენ ვაგზლიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც იქმნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს კალოუბნის ეკლესიაში. (1.401.1)

---

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**
**პარასკევს, 27 აპრილს 1912 წ.**

### ბენეფისი ალ. წუწუნავასი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნ ეფ. მესხის, ოლ. ლეჟავას, ბ-ნნი ვ. გამყრელიძის, ალ. იმედაშვილის ი. ზურაბიშვილის, გოცირიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოდ. იქნება

## „ლალატი".

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ს და საღამოს 6-ან 8 საათამდე. ადგილების ფასი ერთი მან. 20 კაპ. სამ შაურამდე. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტრატორი ს. ჯუღელი მორიგი წევრი ვ. რაქვიაშვილი. (3.1214.1)

---

ი. გედევანიშვილის

## „გამცემი,"

3 მოქმ. დრამა.

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.8)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. ლ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. ლ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მჭედლიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1020—322)

---

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ ვადა „გრდემლის" მე-II წიგნისთვის მასალების წარმოდგენისა, თანახმად ზოგიერთ მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილისა, გაგრძელებულია 30 აპრილამდე.

მისამართი მასალების გამოსაგზავნად: **ტფილისი, ოლგის შესახვევი № 5, გ. ს. რცხილაძეს.** (6.1185.5)

---

**ქუთაისი**

შუაგულ ქუთაისში, **„მწვანე ბაზარში"**, **ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

## „ბრისტოლი".

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

**ფასები ზომიერია.** ქუთაისი (25.1194.12)

ქუთაისი ქუთაისი

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

## ყურადღება მიაქციონ

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის",

25 ცალი 15 კ. ‚ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები".

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.29)

---

**ქუთაისში**

## ძმ. ე. და პ. საკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქესტი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

**ფასები ზომიერია.** (25 1195.11)

---

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

## ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-საკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—10)

---

**ქუთაისში**

**ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში**

## ფ. ს. ფილიპპოვისა,

ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის" გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

გრძელდება **იშვიათი იაფ-ფასიანი** ვაჭრობა **აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.17) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქუთაისში ქუთაისში ქუთაისში

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გრდემლი"

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.66)

---

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

## წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

**ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—210)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კუროჩკინის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 154)

---

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ელექტრონისა და რენტგენის**

**სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—42).

---

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—24)

---

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

---

## შპალიერი

## ძმ. ტარნოპოლთა

**ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.11)

---

გამოცდილი

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინოსთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (т. 1084.150)

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 288)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**გ. ა. ჭოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606"

(წლ.—1018—256)

---

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.98).

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ.. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—80).

---

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

---

## ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—147).

---

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—79)

---

## ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.24)

---

## სახელმწიფო სათათბირო

24 აპრილი.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

**თავმჯდომარეობს თ-დი ვოლკონსკი.**

კამათია რკინის გზათა გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

**ვიშნევსკი** აღნიშნავს, რომ ბელგოროდ-სუმისა და მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზებზე სისუფთავე არ არის დაცული. სურვილს გამოსთქვამს, რომ გზათა სამინისტრომ შეიმუშაოს ახალი ისეთი ინსტრუქცია, რომლის ძალითაც მას შეეძლოს კერძო რკინის გზებზედაც გავლენა იქონიოს, თუ ეს გზები სუფთად არ იქნება შენახული.

**დობროვოლსკი** აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ წარსულ წელს სამინისტროს წმინდა მოგებაცა ჰქონია, მაგრამ ამას ორი წლის მოსავლიანობას აწერს და არა იმას, რომ რკინის გზების საქმე საზოგადოდ კარგად არის დაყენებული. წრევანდელი წელიწადი შემოსავლიანი არ იყო. ამიტომ, თუ სათათბიროს უნდა შემდეგშიაც დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწიოს, ხარჯთ-აღრიცხვიდან უნდა გამოსტოვოს ყველაფერი, რაც აუცილებელ საჭიროებას არ

წარმოადგენს. მატარებელთა უნაყოფო მიმოსვლის წყალობით რუსეთის ხაზინა თითქმის ერთის მილიონით ზარალობს. 20% გასაგზავნ საქონელისა დაუხურავ საწყობებში ინახებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, პატრონთა პრეტენზიებს გააძლიერებს. სამინისტროს არა ჰყავს გამოცდილი აგენტები. ცენტრალური დაწესებულებანი ძალიან სუსტს ხელმძღვანელობას უწევენ ადგილობრივ დაწესებულებას. ძნელიც არის ასეთი ხელმძღვანელობა, რადგანაც გადაჭარბებული ცენტრალიზაცია რკინის გზების გამრავლების შემდეგ, უფრო და უფრო ცუდს შედეგამდე მიგვიყვანს. ერთის მილიონის გადადება მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად კარგი საქმეა, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ ეს ჯილდო ნამდვილმა მუშაკებმა მიიღონ და არა იმათ, ვინც პოლიტიკურ სამსახურს უწევს მთავრობას. (ტაში მარცხნით).

**პახალჩკი** აღნიშნავს, რომ საჭიროა გაუმჯობესება პატარა მოხელეთა ქონებრივ მდგომარეობისა, რომელნიც ეხლა საცოდავ ჯამაგირს იღებენ.

**ჟუკოვსკი.** როდესაც ვარშავა-ვენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ ვლაპარაკობდით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, ის, ვინც კეთილ-სინდისიერად მუშაობდა რკინის გზაზე, დამშვიდებული უნდა იყოს, იმათ არავითარი საფრთხე არ მოელითო. საეჭვოა ეხლანდელ პირობებში კეთილ-სინიდისიერი მუშაკნი დამშვიდებული იყვნენ. მარტში მე მივიღე დეპეშა, რომლის დედანიც გზათა მინისტრისთვის გაუგზავნიათ. ამ დეპეშიდან რომელიც ნაციონალისტთა ფრაქციის მდივანს ჩიხაჩევს გაუგზავნია, სჩანს, რომ ვენის კანდიდატთა სია მოიწონა ნაციონალისტთა ფრაქციამ და გაუგზავნა სამინისტროს. (ხმები მარცხნით. „სირცხვილი". ხმაურობა) პრესაში გამოაშკარავდა ცნობები, რომელნიც ამ ფაქტს ამოწმებდნენ. თუ ეს მართალია, სათათბირომ ხმა უნდა აღიმაღლოს; ფრიად სამწუხაროა, რომ პოლიტიკური პარტია გადაქცეულა სინდიკატად, რომელიც თავის სურვილისამებრ სახაზინო ადგილებს არიგებს. იმედია სამინასტროს წარმომადგენელი დამაკმაყოფილებელ პასუხს მოგვცემს და უარჰყოფს როგორც ამ ხმებს, ისე დოკუმენტებს, საბუთებს. (ტაში მარცხნით).

**პურიშკევიჩი.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სამინისტროში, ციმბირის რკინის გზაზე, ვარშავა-ვენის რკინის გზაზე პოლონელებს ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ყველა დიდი ადგილები და რუსებს არ აჭაჭანებდნენ. (ტაში მარჯვნით) 1905 წელს პოლონელებმა ვარშავა-ვენის რკინის გზაზე ძალით შემოიღეს საქმის წარმოება პოლონურ ენაზე და ბოიკოტს უცხადებდნენ ყველას, ვინც რუსულად ლაპარაკობდა. ის პირნი, რომელნიც მემარჯვენე ორგანიზაციების წყალობით დაითხოვეს, სამინისტრომ კვლავ სამსახურში მიიღო, ჩინები და ორდენები უბოძა. რუსს კი, რომელიც მედგრადა სდგას დღემდე, სამინისტროდან სდევნიან. თუ ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა, მომავალ არეულობის დროს ყველა რკინის გზებზე ისევ გაფიცვები გაჩაღდება. ამისთანა პირობებში ჟუკოვსკის გამოქომაგება პირდაპირ უზრდელობაა. (ტაში მარჯვნით). უწყებიდან უნდა განიდევნონ პოლონელები. უკიდურეს შემთხვევაში განსაზღვრული ნორმა უნდა დაწესდეს. (ტაში მარჯვნით).

**ტიმოშკინი.** პურიშკევიჩის აზრს უერთდება და ამბობს, სამინისტრომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნებას და მოსამსახურენი ისე მიიღოს, რომ რუსები სჭარბობდნენო.

**ჩიხაჩევი.** აცხადებს, ნაციონალისტთა ფრაქციას არავითარი შუამდგომლობა არ აღუძრავს ადგილების შესახებ სამინისტროს წინაშე, მინისტრისთვის არავითარი დეპეშა არ გაუგზავნია. ჟუკოვსკი ვიღაცას შეცდომაში შეუყვანია. ყოველ შემთხვევაში ჟუკოვსკის თავი უნდა დაეჭირა და ამ ჭორებიდან არავითარი დასკვნა არ უნდა გამოეტანა.

**შეიდმანი** აღნიშნავს, რომ ფინანსების მხრით გზათა სამინისტროს მდგომარეობა მშვენიერია. სენატის რევიზიამ ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა, მაგრამ კერძო პირთა დანაშაული მოსამსახურეთა მთელ კორპორაციას არ უნდა მოვახვიოთ კისერზე.

**კუზნეცოვი** დარწმუნებულია, რომ რკინის გზებზე გაფიცვები უსათუოდ დაიწყება, რადგანაც მუშებს წაართვეს ყველაფერი, რაც კი 1905 წლის გაფიცვებით მოიპოვეს. დასასრულ კუზნეცოვი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ რკინის გზათა ცენტრალური მმართველობა ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, მუშებისთვის სულერთია, ვინც წაიღებს ზედმეტ ღირებულებას: მართლ-მადიდებელი, პოლონელი თუ ებრაელი (ტაში მარცხნით).

# ჩემი ლექსი

სადღაც ოდესღაც რაღაც დავწერე,
რაღაც დავწერე ლექსის სახელით
და ხალხთა გულში, ცოტახნის მერე,
გადავისროლე პოეტის ხელით.

*

დღეს კი ამ ჩემს ლექსს, ეჰ, ვინ არ გინდა—
რომ არა მღერის, რომ არა ნატრობს?
ზოგსა სწყურია ალერსი წმინდა
და ზოგს კი ათრობს, ცრემლებით ათრობს.

*

მე კი შორიდან ვკლავ ჩემსავ ნებას,
მე ვსტირი, ვსტირი გულ-ანაძგერი
და ჩემი ლექსის აღფრთოვანებას
შურით შევცქერი... შურით შევცქერი.

ი. გრიშაშვილი.

**საინჟენერო საბჭოს თავმჯდომარემ კოზირევმა** ყველა ორატორებს უპასუხა. დობროვოლსკის უთხრა, პრეტენზიები იმიტომ იზრდება, რომ საქონლის გადან-გადმოტანაც გაიზარდაო. პახალჩიკის შენიშვნა სამართლიანად მიაჩნია და აღნიშნავს, გზათა სამინისტრომ უკვე მოახდინა ანკეტა ცხოვრების ადგილობრივ პირობების შესახებ, რათა ამის და მიხედვით მოსამსახურეებსაც ჯამაგირი მოუმატოსო. ეს მასალა საკანონმდებლო დაწესებულებებს წარედგინება 1913 წელს. ჟუკოვსკის განცხადების გამო კოზირევმა სთქვა, მიკვირს, როგორ დაამყარა თავისი მოქმედება ჟუკოვსკიმ გამოურკვეველ ცნობებზეო. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე იმავე წესით ვიღებთ მოსამსახურეებს, როგორც სხვა სახაზინო რკინის გზებზე, და არც არავითარი საბუთი გვაქვს ეს წესი დავარღვიოთო. შემცდარია პურიშკევიჩიც, როდესაც ამბობს, მთავრობა არ აფასებს იმ მოსამსახურეებს, რომელნიც გაფიცვის დროს თავის მოვალეობას მტკიცედ ასრულებდნენო. უწყება აფასებს მათ, მაგრამ ყველასაგან ერთნაირ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მანეთის ქურდი კონდუქტორი და ათასების ქურდი ინჟინერი ერთნაირად დასასჯელნი არიან. ტყუილად შიშობს პურიშკევიჩი, რომელსაც მშვენივრად დაუჭირა მხარი კუზნეცოვმა. რომ მოსალოდნელია გაფიცვები: ეხლა რკინის გზის მუშებში მტკიცედ გაიდგა ფესვები იმ აზრმა, რომ სახელმწიფოს ცხოვრების წესიერ მიმდინარეობის დარღვევით შეუძლებელია კეთილ-დღეობის მიღწევა. მუშებმა შეიგნეს, რომ ისინი გამდიდრდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი სამშობლო მდიდარი იქნება. (ტაში მარცხნით).

**ალექსეევი** ჟუკოვსკის უპასუხებს და ამბობს, რუს მოსამსახურეთა რიცხვი ვარშავა-ვენის რკინის გზაზე თერთმეტი პროცენტით დაეცაო. ამიტომ მწუხარება ჟუკოვსკიმ კი არ უნდა გამოსთქვას, არამედ ჩვენ. გზათა სამინისტროს დიდი საქმე გაუკეთებია. მაგრამ რაც უნდა იყოს, იგი ამ შედეგს ვერ მიაღწევდა, ხელთ რომ პატარა, შრომის მოყვარე ხალხი არა ჰყოლოდა. ქება და დიდება ამ მშრომელთ! დასასრულ ორატორი მიჰმართავს მთავრობას და სთხოვს, მოსამსახურეთა დათხოვნის ახალ წესის შემოღებამდე, თავი შეიკავოს და მესამე პუნქტს არ მიჰმართოს ხოლმე.

**კუზნეცოვი** აღნიშნავს, რომ მთავრობის წარმომადგენელმა მისი საბუთები ვერ დაარღვია.

**მომხსენებელმა** საერთო დასკვნა გამოიტანა ორატორთა სიტყვებიდან.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს იმ სახით, როგორც საბიუჯეტო კომისიას ჰქონდა გამოანგარიშებული.

**გოდნევი** კითხულობს ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც ნავარაუდევია 6.253,418 მ. და აცხადებს, რომ სათათბიროს მიერ რამდენჯერმე გამოთქმული სურვილი შესრულებულია: სამინისტროს შეუდგენია სამინისტროს მოსამსახურეთა შტატის პროექტი, რომელიც უკვე გადაეცა სათათბიროს.

**პოკროვსკი მეორე** მთავრობის პოლიტიკას ეხება და ამბობს, დღემდისაც ვერ განხორციელდა ორი საცოდავი კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებაო. ორატორი კრებებისა და კავშირების თავისუფლებას შეეხო და სთქვა, მუშებს წაართვეს ყველაფერი, რაც კი 1905 წელს მოიპოვესო. მუშათა საკითხი ისე უნდა დაისვას, როგორც 1905 წელს, ე. ი. იგი კლასიურ თვითცნობიერებას უნდა დაემყაროს.

**რასტორგუევი** აღნიშნავს, რომ ბოლოს დროს ბევრმა სააქციონერო ბანკმა თავის წმინდა საფინანსო ოპერაციებს გადაუხვია და კომერციულ დაწესებულებებად გადაიქცა. ამით ვაჭრობას დიდს ზიანს აყენებენ. როდესაც ვაჭრობას ხელში ჩაიგდებენ, სინდიკატს შეადგენენ და ვაჭრობას ძალიან დააზარალებენ. განსაკუთრებით პურით ვაჭრობაა ცუდს პირობებში: აქ ბანკების ძალამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. საბირჟო კომიტეტთა უმრავლესობამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ შეუწყნარებელია ასეთი მოქმედება ბანკებისა, მაგრამ მთავრობა ამ საკითხს მაინც კულტურულად ეკიდება.

კითხულობენ შრომის ჯგუფის განცხადებას, რომ ხვალ ლენის ამბების შეკითხვის შემდეგ განხილულ იქმნას შეკითხვა ადმინისტრაციის საარჩევნო ბრძოლაში ჩარევის შესახებ. 151 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 53-ისა შეკითხვა სასწრაფოდ არ იქმნა აღიარებული.

## სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

**გოლუბოვი თავმჯდომარეობს.**

სათაბიროს რედაქციით უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დამზადებას წამქეზებელი და ევროპის აღებ-მიცემობის ბაჟთა ცვალებასა სამეურნეო დარგის მანქანებზე.

საბჭომ მიიღო 44—51 მუხლები ავადმყოფობის დროს მუშათა უზრუნველმყოფელ პროექტისა.

**კრესტოვნიკოვს** უმცირესობის წინადადება შეაქვს, რათა გამოირიცხოს 46—50 მუხლები, რომლის ძალითაც წვრილ მწარმოებელთ ევალებათ მუშებს სამკურნალო სადოსტაქარო დახმარება გაუწიონ.

**ტიმირიაზევი** (კომისიის თავმჯდომარე) ამ წინადადების წინააღმდეგია.

**მომხსენებელი** ზაგალიე და **ვაჭრობის მინისტრი**, სათათბიროს მიერ მოწონებულ პროექტს ემხრობიან.

**ვაჭრობის მინისტრი.** თუმცა წვრილ მრეწველობას უნდა ვზოგავდეთ, მაგრამ მათზე მზრუნველობა სხვათა საზარალოდ არ უნდა ხდებოდეს. წვრილ მრეწველობაში მომუშავე მუშებსაც უნდა უზრუნველუყოთ სამკურნალო დახმარება მრეწველთა ხარჯით. კრესტოვნიკოვის წინადადება უარჰყვეს.

ყველა მუხლები [illegible] რედაქციით მიიღეს, [illegible] დამატებითი მუხლით. იმ შემთხვევაში თუ მრეწველის სამკურნალოში სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენენ არა ამ სამრეწველოს მუშას, არამედ მოიჯარადრის მიერ დაქირავებულს, სამკურნალო ხარჯს მოიჯარადრე იხდის.

კომისიის რედაქციით მიიღეს საავადმყოფოს კასათა სახსრისა, დახმარების გამგეობის პროექტისა.

სათათბიროს რედაქციით მიიღეს მე-85 მუხლი: კასის საზოგადო კრებაზე მონაწილეობას იღებენ, კასის მონაწილეთა რწმუნებულებს გარდა, სამრეწველო პატრონთა წარმომადგენელნიც.

მე-87 მუხლი გასაზღვრავს, რომ მწარმოებელთა ამ კრებაზე აქვთ ორი მესამედი საერთო ხმებისა.

**მიასოედოვს** შესწორება შეაქვს: სამკურნალო კასებს საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მიღება ეკრძალებოდეთ იმათ, ვინც სისხლის სამართლის დებულებათა 1835 მუხლის ძალით პასუხის გებაში ყოფილა, ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

**ვიტტე** მიასოედოვის შესწორებას ემხრობა, რადგანაც არა ჰსურს რომ ეს კასები პროპაგანდის საშუალებად გადიქცეს.

საბჭომ მიიღო მიასოედოვის შესწორების პირველი ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი კი უარჰყო. დანარჩენი მუხლებიც მიიღეს.

შემდეგი სხდომა 25 აპრილს მოხდება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქართველოს ექსარხოსის კანცელარიის მმართველად** დაინიშნა ერევნის ოლქის სასამართლოს კანდიდატი ლ. პ. დანილოვი.

✦ **„გვირილობა"** დღეს ტფილისში ყულაბებით შემოვიდა 17,200 მ. იყო კერძო შეწირულებანიც—2,000 მანეთამდე.

✦ **ახალი ქართული ჟურნალი.** ახლო მომავალში ტფილისში გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „კლდე". ჟურნალის ხელმძღვანელებად იქმნებიან: რევაზ გაბაშვილი, შალვა მესხიშვილი, გიორგი ქორ-

# ირლანდიის განთიადი

2.

წინა წერილში უკვე მოვიხსენიეთ ირლანდიის დამოუკიდებლობის მოსპობის დრო—1801 წელი. ამ დროიდან ირლანდია თითქმის უბრალო პროვინციას წარმოადგენს და ინგლისს, როგორც ერისათვის, განცალკევებულ ერთეულისათვის, ყურადღება აღარ მიუქცევია.

მეცხრამეტე საუკუნეში ბევრი სხვა და სხვა პარტია ყოფილა ირლანდიაში და თითოეული ყურადღებას აქცევდა ერის ცხოვრების რომელსამე მხარესა. ერთი ჯურის პარტიებს საფუძვლად სდებია მარტოოდენ საპოლიტიკო თავისუფლების აღდგენა და საზოგადოდ დამოუკიდებლობის მოპოვება. მეორე ჯურისას—უფრო ინტერესებოდა სოციალ საკითხების გადაწყვეტა, საეკონომიო მხარე ირლანდიის ერის მდგომარეობისა. იყო მესამე ხასიათის პარტიებიც, რომელნიც სარწმუნოებრივ საკითხების მოწესრიგებას სცდილობდნენ. მაგრამ მიუხედავად სხვა და სხვაობისა, ყველა პარტიას კარგად შეეგნო ერის მდგომარეობა, კარგად იცოდა სად დაფარულიყო ხსნის გზა. ეს პარტიები გაჭირვებისას ყოველთვის შეერთდებოდნენ ხოლმე და ერთად იბრძოდნენ.

შევიწროვებულმა და შეწუხებულმა ირლანდიელებმა დამოუკიდებლობის დაკარგვის მეორე დღესვე დაარსეს საოპოზიციო პარტიები. უპირველესად ყოვლისა, სცდილობდნენ კათოლიკეთა და პროტესტანების გათანასწორებას, როგორც წინად მოვიხსენიეთ კათოლიკებს ყველა უფლება წართმეული ჰქონდათ. კათოლიკებს არა ჰქონიათ მოხელეობის უფლება, საზოგადოდ რაიმე სამსახურის გაწევისა სახელმწიფო დაწესებულებაში, რადგან უმრავლესობა ირლანდიელებისა კათოლიკე იყო, რასაკვირველია, გაჭირვებაში ჩავარდებოდა. ინგლისის პარლამენტში კათოლიკეთა გათანასწორების საკითხი ბევრჯელ წამოუყენებიათ ირლანდიელების წარმომადგენლებსა, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყვნენ. ამ გათანასწორების დიდი მოწინააღმდეგე იყო ინგლისის მეფე გიორგი მე-4.

განაწამებმა ირლანდიელებმა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში—1826 წელს დაარსეს **„კათოლიკეთა საზოგადოება"**. საზოგადოების ბელადი ოკონელი იყო, ირლანდიის განთქმული მამულიშვილი. ოკონელი მშვიდობიანი კაცი ყოფილა, სწავლა საფრანგეთის იეზუიტთა სასწავლებელში მიიღო და ამიტომ დიდად სცემდა პატივსა წესიერებას, საშინლად სძულდა და ვერ ეწყობოდა არეულობას, ძალადობასა. ამიტომ ირლანდიელთა ორგანიზაციასაც, „კათოლიკეთა საზოგადოებას", ამნაირი ხასიათი ჰქონია. ოკონელი სცდილობდა ინგლისის მთავრობისათვის მშვიდობიანი გზით წაეგლიჯა რამე, კანონიერებაზე ფეხი არ მოუცვლია და თანამოაზრეებსაც ამასვე ურჩევდა. იგი საკონსტიტუციო ნიადაგზე იდგა და სამართლიანობის სახელით მოითხოვდა კათოლიკეთა გათანასწორებასა. გარდა ამისა, ოკონელის პარტიას მიზნად დაესახა ინგლისისა და ირლანდიის „შეერთების" დარღვევა, დამოუკიდებლობის აღდგენა და გაუქმება 1800 წლის დადგენილებისა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ინგლისიც მოიღალა, ირლანდიელებისაკენ ჰქმნა პირი და 1829 წელს პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც აფართოებდა კათოლიკეთა უფლებასა და ნებას აძლევდა სახელმწიფო სამსახურად შესვლისას და მოხელეობის გაწევისას, ზოგიერთის გამონაკლისითა. საზოგადოდ, ოკონელის პარტიას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიუქცევია ხალხის სიღარიბისათვის და უფრო ეინტერესებოდა სარწმუნოების საკითხი. პირველ დროებში ოკონელს ინგლისის იმედი ჰქონებია, მაგრამ მერე გული გასტეხია. ინგლისი ძველებურად სასტიკად ექცეოდა ირლანდიელებსა. ოკონელმა ამ სისასტიკის გამო ძლიერი პროტესტი განაცხადა, წინანდელებრ ვეღარ ენდობოდა ხოლმე ინგლისელებსა. რაკი დაატყო, საქმე ცუდად არისო, დაიწყო ქადაგება და ხალხს ათი ათასობით უყრიდა თავსა, უხსნიდა და არიგებდა ერსა, თუ როგორ უნდა ეხსნა თავი გაჭირვებისაგან, რა გზას დასდგომოდა. ოკონელს სწორედ ამ ხანებში გადაუწყვეტია საბოლოოდ, ინგლისის კავშირი ვერას გვარგებს, უეჭველად საჭიროა უნიის მოსპობაო და დაუწყია კიდეც ამის და გვარად მოქმედება, ყველა პარტია შეუერთებია, მტყობრად დაურაზმია. მაგრამ არც ინგლისის მთავრობას სძინებია. რაკი დაატყო, ოკონელს დიდი . გავლენა აქვსო, შარი მოსდო, დააპატიმრა და ერს ბელადი ჩამოაშორა. ოკონელს სასამართლოში საქმის გარჩევას შემდეგ დიდხანს ველარ უცოცხლნია და ამ საქმეს თან გადაუტანია. ოკონელი გარდაიცვალა 1847 წელს, სამოცდა თორმეტი წლისა.

თუმცა ტაატით, მაგრამ ირლანდიელები მაინც ახერხებდნენ წინსვლასა. 1838 წელს პარლამენტს მიუღია დრამის ფულის კანონპროექტი. როგორც უკვე ეცოდინება მკითხველსა, ყოველი ირლანდიელი ვალდებული იყო შემოსავლის მეათედს ინგლისის ეკლესიის სასარგებლოდ გადაეხადნა. 1838 წლის კანონპროექტმა ,ეს გადასახადი შესამჩნევად შეამცირა.

მაგრამ 1845 წელს ირლანდიაში საშინელი ამბავი დაუტრიალებია შიმშილსა. თავი და ბოლო საშუალო შეძლების და ქონების პატრონის ირლანდიელისა კარტოფილის მოსავალი იყო. ხალხი განსაკუთრებით კარტოფილით მიდიოდა იოლად და აბა, წარმოიდგინეთ. რა უნდა მომხდარიყო, ამასაც რომ მოაკლებოდნენ გაჭირვებულთა. საუბედუროდ, სწორედ ასე მოხდარა. იმ დროებში კარტოფილს რაღაც ავადმყოფობა გასჩენოდა, მოსავალი სრულიად ვერა ყოფილა რა და შიმშილმა ფრთა გაშალა. აუარებელი ხალხი მოდიოდა ქალაქებსა და დაბებში სამუშაოდ, აუარებელი გზაში იხოცებოდა, ქუჩები და მინდვრები მძოვრებით იყო მოფენილი. უბედურების შესასუსტებლად, ინგლისის პარლამენტმა ბევრი ფული გადასდო, მაგრამ მაინც ვერას გამხდარიყო, ვერ ასდიოდა ყველასა და ირლანდიელებიც ჰღელავდნენ, ჰბორგავდნენ, მემამულე ინგლისელებს ჰხოცდნენ და აწიოკებდნენ, სახლკარს უწვავდნენ.

სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ოკონელი, რომელსაც მემკვიდრენი ვერ დარჩენოდა. გაჭირვებამ ძლიერ გაამწარა ხალხი, ოკონელს მშვიდობიანგზაზე სიარული ველარ აკმაყოფილებდა, მეტს მოითხოვდა, ინგლისთან ლაპარაკი მგლის თავზე სახარების კითხვად მიაჩნდა, იარაღით ბრძოლა სწადდა. ამ დროებში დაარსეს ირლანდიელებმა „ახალგაზდა ირლანდიის" საზოგადოება, ეს საზოგადოება ბევრად განსხვავდებოდა „კათოლიკეთა საზოგადოებაში", უფრო რადიკალი იყო, პირდაპირს ბრძოლას ჰქადაგებდა. პარტიის ბელადად ჰყავდნენ ობრიენი, მიჩელი, დეფი და მიგერი. ევროპაში იმ დროებას ცუდი სუნი დატრიალებულიყო, 1848 წლის რევოლუციის დამარცხებას ყველასათვის დაესო ბეჭედი, ყველა თავის ჭრილობის შეხვევასა და მოვლას უნდებოდა. მიუხედავად ამისა, ირლანდიაზე ძალიან ემოქმედნა განვლილ ქარიშხალსა, გულს იმედი ჩაესახნა და თვალი უნებურად მიეპყრო პარიზისათვის. „ახალგაზდა ირლანდიის" წევრები გულ მოცემულნი იყვნენ, მოკავშირეებს თანდა თან მეტს იძენდნენ და აშკარად ემზადებოდნენ აჯანყებისათვის. ინგლისის მთავრობამ აქაც დაასწრო შეთქმულებსა და ვიდრე აჯანყება მოედებოდა მთლად ირლანდიასა, ენერგიანად დაიწყო მოქმედება, არეულობა ჩქარა მოსპო. სხვათა შორის მთავრობამ დააპატიმრა პარტიის ბელადი ობრიენი, რომელიც იმ ხანებში ირლანდიელებს მეფედ გამოეცხადებინათ. ობრიენს და ამხანაგებს ჯერ სიკვდილი გადაუწყვიტეს, შემდეგ კატორღად შეუცვალეს. ირლანდია მაინც ვერ დაემშვიდებინათ, კიდევ აუარებელი ხალხი იხოცებოდა, ათასობით მირბოდა ამერიკასა და იქ იწყებდა ახალ ცხოვრებასა. უმაღლესს სასწავლებელს ირლანდიისას კათოლიკენი და პროტესტანები ერთად მოექცია და ბევრი მაგალითი იყო ხოლმე ინგლისელთა და ირლანდიელების შეტაკებისა. ინგლისი ბევრსა სცდილობდა ირლანდიის დამშვიდებასა, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. გარეგნად თუმცა სიწყნარე ჩამოვარდნილიყო, ირლანდიელებს იარაღი არ დაუყრიათ და ემზადებოდნენ სასტიკ ბრძოლისათვის. ამ დროს ყოველი უფლება აერთვათ ირლანდიელებისათვის და საოპოზიციო გაზეთების გამოცემა შეუძლებელი იყო. ირლანდიელები სულის მოთქმას ვერ ახერხებდნენ თავის სამშობლოში და ბრძოლის ველი სხვაგან გადაიტანეს. ამერიკაში გადასახლებული ირლანდიელები გულხელ დაკრეფილნი არა ასხდნენ და მოქმედებდნენ, საქმისათვის ემზადებოდნენ. ამერიკის ირლანდიელებმა დაარსეს ახალი პარტია, უკიდურესის მიმართულებისა, თითქმის ანარქისტული—**„ფენიების საიდუმლო საზოგადოება."** პარტიის ბელადად ითვლებოდა ომაგონი. იგი დიდი მცოდნე ყოფილა ირლანდიის ისტორიისა, საზოგადოდ განათლება დიდი ჰქონია, „ფენიები" უწინდელ დროებში მეომარნი ყოფილან, მათ შესახებ ბევრი ლექსი და ლეგენდა იყო თურმე გავრცელებული ხალხში და ომაგონსაც იმიტომ დაურქმევია კავშირისათვის „ფენიების" სახელი. ფენიები ნამდვილი რევოლუციონერები იყვნენ, ირლანდიის სრულ ჩამოშორებას ჰქადაგებდნენ და იარაღით იბრძოდნენ, ჰსურდათ განცალკევებული ირლანდია რესპუბლიკად გადაექციათ. იმ დროს ამერიკელებს—სამხრეთელთა და ჩრდილოელებს, ომი ჰქონდათ, ინგლისი ორპირად ექცეოდა, ზოგჯერ ჩრდილო ამერიკელების საწინააღმდეგო მოქმედებასაც არ ერიდებოდა. ამერიკელები ინგლისელთა უკმაყოფილონი იყვნენ, უკმაყოფილებას ხელი შეუწყვეს ირლანდიელებმაცა და ფენიებისათვის ნიადაგი მომზადებულიყო. 1865 წელს ცინცინატში (ამერიკის ქალაქია) ფენიებმა დიდი კრება გაჰმართეს და ყველამ დაინახა მათი ძალა. თუ იქნობამდე ინგლისელებს ანგარიში არ გაუწევიათ, მას შემდეგ ყურადღება მიაქციეს. ფენიების მოძრაობა ირლანდიაში ჩქარა გავრცელდა, პარტიას ჰქონდა დიდძალი იარაღი, ფული, საკუთარი კანონები, გაზეთები და ერთი თქმისა არ იყვეს, გაევრცელებინა გავლენა ყველაზე, „ბრიტანეთის ჯარს და სატუსაღოთა უფროსებზედაცა". ინგლისის მთავრობამ იცოდა, ხიფათს უმზადებდნენ, გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ფენიებსა და აჯანყებას ხელი შეუშალა; ბევრი მოთავე დააპატიმრა, იარაღის ტარება აკრძალა და ჯარი გააძლიერა. 1867 წელს ფენიები თავს დაეცნენ ეტლსა, რითაც ირლანდიის საპოლიტიკო პატიმარნი მიჰყავდათ. ეს ამბავი მანჩესტერში მოხდა. ფენიებმა ამხანაგები გაანთავისუფლეს, მაგრამ მთავრობამ 23 კაცი დააპატიმრა და ერთი პოლიციელის მოკვლა ყველას გადაახდევინა—სამი კაცი ჩამოახრჩო, თუმცა იცოდა მათი უდანაშაულობა. ირლანდიაში ყველა აღელვა ამ ამბავმა, ფენიებს თანაგრძნობას უცხადებდნენ მტერ-მოყვარენიცა. ფენიების დასჯის მეორე კვირას, მათმა ამხანაგებმა ერთი ციხის აფეთქება მოახდინეს. მთავრობამ დაიწყო გამწარებულად ბრძოლა და დამნაშავე უდანაშაულოში ველარ გაერჩია. დაიჭირეს რამდენიმე ირლანდიელი და ერთი სიკვდილით დასაჯეს, თუმცა ვერაფერი დაემტკიცებინათ. სამოცდაათიან წლებში ფენიებში ოდნავ მიწყნარდნენ, თუმცა ინგლისელ მემამულეებსა, მოხელეებსა და ყველა მტერს დღეს უმწარებდნენ, ჰხოცდნენ და ელეტდნენ.

რაჭველი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 581.

დანია, დავით ვაჩნაძე და შალვა ამირეჯიბი.

✦ **ექსკურსია.** 22 აპრილს ტფ. სახელოსნო სასწავლებლის უფროს კლასების მოსწავლენი, რიცხვით 20 კაცი, ბორჯომის დასათვალიერებლად წავიდნენ. ტფილისში 23 აპრილს დაბრუნდნენ.

✦ **მსახიობი ვიქტორ მატარაძე,** რომელმაც თავი მოიწამლა, ამ ჟამად უკეთ არის და მორჩენის გზას ადგია.

✦ როგორც გვწერენ, **ვარშავის სამოსწავლო** ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა ვარშავის უნივერსიტეტის **სტუდენტი გ. დ. გიუნაშვილი** ასისტენტად ბოტანიკაში ვარშავის საზეითალო ინსტიტუტში.

✦ **წვრილ კრედიტის საქმეთა საგუბერნიო სამმართველომ** ნება დართო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გაიხსნას: ქვემო-მაჩხაანსა (სიღნაღის მაზრა), ბოდბისხევსა (სიღ. მ.), არაშენდასა (სიღ. მ.), ალბულაღსა (ტფ. მ.) კოტონოსოვოში (ბორჩალოს მაზრა) თვითეულ ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან ორასი თუმანი მიეცემა ძირითად თანხად.

✦ **პროფ. ბლაგოვიდოვი,** ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი, რომელიც პეტერბურგს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **შეიპყრეს** ტფ. მცხოვრები ლეონიდ პეტრეს ძე დავიდოვი, რომელიც 1909 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

✦ **ქალაქის სპეციალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვა** საბოლოოდ შემუშავებულ იქმნა და საგანგებო მოხსენებასთან ერთად დღეს ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

✦ **ქალაქის გამგეობამ** ცალკე მოხსენება შეადგინა თავის მომავალ მოქმედების შესახებ, მოხსენება განსახილველად ქალაქის საბჭოს დღევანდელს კრებას წარედგინება.

✦ **მიწადმოქმედების დეპარტამენტმა** 2000 მან. გადასდო ტფ. ბოტანიკურ ბაღის სასარგებლოდ, რომელმაც მომავალ შემოდგომაზე პეტერბუგში თავისი ექსპონატები უნდა გაჰგზავნოს „რუსთა რივიერის" გამოფენაზე.

✦ **ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორი** ერევნის გუბერნიის სოფელ ელენოვკაში გაემგზავრა ტფ. ბაღის განყოფილების გასახსნელად.

✦ **ხმოსანმა ი. სულაბერიძემ ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა,** რომლითაც წინადადებას აძლევს, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა, რათა ქალაქს სასარგებლოდ სასანიტარო გადასახადი იყოს შემოღებული.

✦ 23 აპრილს შეიპყრეს შუშის მცხოვრები აბდულ სამედ ქერბალაი აჯაფ-ოღლი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფ. ვაჭართა საგანგებო კრება** 6 მაისს მოხდება ბირჟის შენობაში. განხილულ იქმნება საკითხი დაუძლურებულ ვაჭართათვის თავშესაფარის დაარსების შესახებ.

✦ **ქალაქის საბჭოს** დღევანდელს კრებას განსახილველი აქვს 22 საქმე. ამათში სამი ისეთი საქმეა რომლის განსახილველადაც საჭიროა 40 ხმოსნის დასწრება.

## სასამართლო

✦ **დიმ. ჯაშის საქმე.** 24 აპრილს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე დიმიტრი ჯაშისა, რომელსაც ენიკოლოფოვის სასტუმროში ასაფეთქებელ ნივთიერებათა დაწყობა ბრალდებოდა პროვოკაციულის აზრით. ოლქის სასამართლომ ჯაშს 3 წლის პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვეტა, პალატამ ეს განაჩენი დაამტკიცა.

✦ **ტფ ოლქის სასამართლოს სექცია** გუშინ დუშეთს გაემგზავრა.

## ბათომი.

✦ **მკვლელობა.** 23 აპრილს, დამით, მოჰკლეს ჰანტლაძე, მეპატრონე სტამბისა, სადაც გაზეთი „ბატუმსკია ვესტი" იბეჭდება. მიზეზი-პირადი შურის ძიებაა, მკვლელი შეიპყრეს.

## ქუთაისი

✦ **სალიტერატურო საღამო.** 28 აპრილს საქალაქო თეატრში სალიტერატურო საღამო გაიმართება საკონცერტო განყოფილებით. მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები და მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

## სომეხთა ცხოვრება.

✦ დღეს, 11 საათზე, ვანქის საკათედრო ტაძარში გ. **სუნდუკიანცის** სიკვდილის ორმოცის დღის გამო გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ დღეს გამოვიდა გაზ. „მშაკის" და ჟურნალ „ტარაზის" განსაკუთრებული ნომრები გ. **სუნდუკიანცის** ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ გუშინ, სახალხო სახლში წარმოადგინეს სომხურად გ. **სუნდუკიანის** პიესა **„დაქცეული ოჯახი".**

✦ „მშაკის" საიუბილეო კომიტეტმა მიიღო 200 მანეთი მ. სულთანიანისაგან.

✦ კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების პიატიგორსკის განყოფილებამ სამადნო წყლების გამგეობისაგან ნებართვა მიიღო, რათა სომხის 4 მასწავლებელთ შეეძლოთ უფასოდ განიკურნონ.

✦ წელს, დეკემბრის 12-ს სრულდება სომეხთა პუბლიცისტ სტეფანო ნაზარიანის დაბადებიდან ასი წელიწადი. სომხური გაზეთები სწერენ სხვა და სხვა წერილებს ამ დღის აღნიშვნის შესახებ.

✦ კარგახნის შეჩერების შემდეგ გამოვიდა სომხური იუმორისტული ჟურნალი **„ხათაბალა"**

# მიწის საკითხი გურიაში

სადაო მიწები. ხაზინა და თავ. ნაკაშიძეები. —სოფლელები და ვექილები.—„მიწისბარა".

არა მგონია, მიწის საკითხი ისე აწეწილ-დაწეწილი იყოს სადმე, როგორც ეს მიქელგაბრიელისა და ხვარბეთის საზოგადოებაშია. 30 წელიწადი შესრულდა, რაც აქაური სადაო მიწების საქმე კანცელიარიებში დასეირნობს და მოწესრიგება არ ეღირსა. ერთის მხრით მიწებზე დავას აცხადებს ხაზინა; მეორე მხრით თავ. ნაკაშიძეები. აუარებელი გლეხობა და წვრილ-ფეხა აზნაურები შუაში იჭეჭყებიან.

სოფლელს თავი მესაკუთრე ჰგონია; ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიწას ჩაჰკირკიტებს; ჰხნავს, სთესავს, აიჯარებს, ჰყიდის კიდევაც; მაგრამ დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, ხვალ ვინ გახდება ნამდვილი პატრონი.

ტფილისის სამოსამართლო პალატა შარშან შეუდგა აქაურ სადაო მიწების საქმის გარჩევას. იმედია მალე ავად თუ კარგად დასრულდება ეს საქმე. სამოსამართლო პალატა არ კისრულობს მესაკუთრეს საქმის გარჩევის დრო ამცნოს. უიმისოდაც გაძვალ-ტყავებულ სოფლელს სად შეუძლიან საქმის გარჩევის დღე გაიგოს, ვექილის დასაჭერად ხარჯი გასწიოს და სასამართლოს გასამართლებელი საბუთები წარუდგინოს.

ცალ-პირი გარდაწყვეტილება კი სოფლელს ბევრს ვერაფერს ჰპირდება; მით უფრო, როცა მოპირდაპირეებს ენერგიული დამცველები ჰყავთ ცალპირად გარდაწყდა საქმე საოლქო სასამართლოშიაც.

ზოგიერთმა სოფლელებმა სცადეს ერთად შეკავშირება და საერთო ძალით საქმეზე ზრუნვა. — ვექილები დაიჭირეს,

ვექილი ბ-ნი ა. ბებურიშვილი, მიქელგაბრიელის საზოგადოების 32 კომლს 500 მანეთად შეურიგდა და იმათი საქმის დაცვა იკისრა. შარშან დეკემბერში, როცა ზემოხსენებულ სოფლელთა რამდენიმე ნაჭერ მიწის ბედი სწყდებოდა, ბ-ნი ბებურიშვილი საქმის გარჩევას არ დასწრებია. „საქმე სხვას მივანდეო" — შემოგვითვალა,

ცუდს გუნებაზე არიან ეგრედ წოდებული „მემიწასბარე" — გლეხები. „მიწისბარა"—ბატონყმური ნაშთია; ეს არ არის ძველებური „ნადელი"— „მემიწისბარე" გლეხები, რამდენადაც ვიცი, გურიაში მარტო მიქელ-გაბრიელის და ხვარბეთის საზოგადოებებში მოიპოვებიან. სოფლელებს რომ შეეკითხოთ, როგორ წარმოსდგა „მიწისბარა", გიპასუხებენ:

ძველს დროში, როცა გურია ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, გურიის მთავრებს, თავ. გურიელებს, ხვარბეთის საზოგადოებაში ედგათ „ჯიხური", ანუ სადარაჯო სახლი. „ჯიხურში" მუდმივად მორიგეობდა ათიოდე დარაჯი, ანუ „მეჯიხურენი". ესენი პოლიციის მაგიერობას ეწეოდნენ. — თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ სოფლებში უწესოება რამე არ მომხდარიყო და სხვა.

„მეჯიხურეებს" ხარჯს აძლევდნენ „ჯიხურის" მახლობლად მცხოვრები სოფლელები, სამაგიეროდ ეს უკანასკნელნი საბატონო ბეგარისაგან თავისუფალნი იყვნენ.

როდესაც გურიაში რუსული მართვა-გამგეობა მოძლავრდა, „ჯიხურმა" ძალაუნებურად თქვენი ქირი წაიღო. სამართლიანობა მოითხოვდა, სოფლელებიც განთავისუფლებულიყვნენ „მეჯიხურეთა" ხარჯისაგან; მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე როდი მოხდა. გურიელების მოურავეებმა, თავ. ნაკაშიძეებმა, „მეჯიხურეთა" მაგიერ, თავის სასარგებლოდ დაუწყეს სოფლელებს ხარჯის გადახდევინება. ბოლო დროს, თავ. ნაკაშიძეებთან შუღლისა, თუ სხვა მიზეზების გამო, სოფლელებს მოსარჩლენი გამოუჩნდნენ. იმათ ურჩიეს სოფლელებს უარი ეთქვათ ხარჯის ძლევაზე და ძალმომრეობის ასაშორებლად თხოვნით მიემართათ გუბერნატორისათვის. თხოვნაც დაიწერა. თხოვნაზე საქმეში დაინტერესებულ ხვარბეთლებთან ერთად მიქელგაბრიელის საზოგადოების გლეხობამაც მოაწერა ხელი.

მაშინ ქუთაისში გუბერნატორად იყო კალიუბაკინი. ბ-ნი კალიუბაკინი, თხოვნის მიღებისთანავე, გურიაში გამოემგზავრა საქმის ადგილობრივ გამოსაკვლევად.—თავ. ნაკაშიძეებს ამ დროს არ ეძინათ. ისინი გუბერნატორს დიდის ამბით შეხვდნენ და ხალხის „ამბოხება" შესჩივლეს. გუბერნატორის ბრძანებით ყრილობა შეჰყარეს სოფ. ახალსაყდარში. „ბუნტოვჩიკებს" ცუდი დღე დაადგათ. საქმის მოთავენი ხალხის თვალწინ დასაჯეს. სხვათა შორის მათრახი დაჰკრეს გლეხებს ნ. ბაბილოძეს და ლ. მალაზონიას. აზნაურებს კ. და მ. ბოლქვაძეებს კი თითო თვით საპყრობილეში უკრეს თავი, საერთოდ კი, თხოვნაზე ხელის მომწერ გლეხებს დააკისრეს სასჯელის სახით თავ. ნაკაშიძეებისათვის წლიურად ეძლიათ თითო საწყავი ღვინო ($1^1/_3$ ფუთ.)—ორი ქათამი და თითო ფუთი ლომი. ეს სასტიკი გარდაწყვეტილება, რა თქმა უნდა, დროებითი უნდა ყოფილიყო.

ეს იმ დროს მოხდა, როცა თავ. ნაკაშიძეები მიწის მფლობელობის გაფართოვებაზე ფიქრობდნენ. ბეგარა, რომელიც გუბერნატორის გარდაწყვეტილებით ხალხს დაეკისრა, ნაკაშიძეებმა „მიწისბარად" მონათლეს. ეს იმას ნიშნავდა, თითქო თავ. ნაკაშიძეები მიწის ბეგარას ახდევინებდნენ ხალხს. სურსათის გადახდა სოფლელებისათვის მოუხერხებელი გამოდგა და ამიტომ, თავ. ნაკაშიძეებთან შეთანხმებით, გადასწყვიტეს, ნაცვლად სურსათისა, ეძლიათ წლიურად კომლზე 3 მანეთი.

მეოთხმოცე წლებში მოხდა აქაურ მიწების გამიჯვნა. თავ. ნაკაშიძეებმა „მემიწისბარე" გლეხებს დავა აუტეხეს.—ისინი ამბობდნენ: — გლეხები ჩვენდა სასარგებლოდ „მიწისბარას" იხდიან. სჩანს მიწა ჩვენ გვეკუთვნის და არა იმათო.—გამიჯვნის შემდეგ სადაო მიწები გლეხების მფლობელობაში დარჩა. — მეოთხმოცდაათე წლებში სოფლელებმა გადაჭრით უარი სთქვეს „მიწისბარის" გადახდაზე.—დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, სოფლელების ყარმა გასჭრა. „მიწისბარა" თითქმის დავიწყებას მიეცა. მაგრამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დასამარებისთანავე თავ. ნაკაშიძეებმა ითავხელეს და „მიწისბარა" ისევ ამოტივტივდა. სოფლელებმა ეგზეკუციის წინააღმდეგ ვერაფერი გაარიგეს და 1907—8 წლებში ნაკაშიძეების სასარგებლოდ კომლზე 17 მანეთი და 50 კაპ. გადაიხადეს. ამის შემდეგ კი „მიწისბარა" არავის გადაუხდია.

აი, ამ მიწების საქმეც ირჩევა ეხლა სამოსამართლო პალატაში. თავ. ნაკაშიძეების მხრივ საქმის დამცველად გამოდის ბ-ნი კოწია ჯაფარიძე, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაღატაკებულ სოფლელებს ოფლით მორწყული მიწა ხელიდან გამოაცალოს. **მოკეთე.**


# წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება: ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 მარტამდე 2 მ., **მაისამდე 2 მ.** დანარჩენ მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც **მაისი** ახლოვდება ვთხოვთ, ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მოწერის უფლება-რომლის ძალითაც პრემია **მიიღო.** **„სახალხო გაზეთის" კანტორა.**

ტფილ. ქართულ დრამატ. დასის

# მოგზაურობა

**მარიამ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით**

დასი შესდგება შემდეგ პირთაგან:

დამსახურებულნი მსახიობნი ქართული სცენისა: **მარ. საფაროვ-აბაშიძისა. ვასილ აბაშიძე, კონსტ. ყიფიანი, ვალერიან გუნია,** ტასო აბაშიძე, ცაცა ამირაჯიბი, მარგ. ქილარჯიშვილი, იოს. ივანიძე, ა. ციციშვილი, იოს. ქივიძე, იოს. გრიშაშვილი და სხვანი.

**რეპერტუარი:**

ნ. შიუკაშვილის—**„მეგობრობა"**, იოს. გედევანიშვილის — **„გამცემი"**, გაბ. სუნდუკიანცის—**„პეპო"**, ბაიარის—**„პარიზელი ბიჭი"**, რ. ერისთავის—**„ბიძიასთან გამოხუმრება"**, კარნეევის—**„გულმა იგრძნო"** და **ლიტერატურულ-მუსიკალური დივერტისმენტები.**

**დასს განზრახვა აქვს შემოიაროს შემდეგი ადგილები:**

გორი, ცხინვალი, გომი, თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, ყვირილა, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ხონი, ახალსენაკი, აბაშა, ზუგდიდი, ფოთი, ბათომი, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდაუთი, გაგრი, სოჭი, განჯა, ბაქო, გუმბრი, ოზურგეთი, ონი და სხ. ადგილები.

(5.1230.2) დასის გამგე **ვალ. გუნია.**


# ხმა თელავიდან

ქალაქის რწმუნებულთ მორიგ სხდომაზე 17 აპრილს, სხვათა შორის, უნდა განეხილად ორი საყურადღებო საკითხი, მაგრამ სხდომა ვერ შესდგა და იგი ხელმეორედ მოხდება ამ ცოტა ხანში, როცა ამ საქმეებსაც გადასწყვეტავენ.

ეს გახლავთ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგად. თელავის განყოფილების და სომხის სკოლის სამზრუნველოს თხოვნები,

წ. კ. საზოგადოება სთხოვს ქალაქს ადგილს სკოლის შენობისათვის. რათა ამ სკოლას, სადაც ღარიბ მოქალაქეთა შვილები სწავლობენ, ეროვნების განურჩევლად, მკვიდრი საფუძველი დაედოს, წ. კ. თელავ. საზოგადოებამ განიძრახა შენობის აგება, მაგრამ ამას ადგილის უქონლობა უშლის ხელს, რასაც ქალაქსა სთხოვს.

თელ, სომხ. სკ. სამზრუნველო სთხოვს ქალაქს ფულით დახმარებას. მართალია ეს სკოლა საკუთარ შენობაშია მოთავსებული მაგრამ კიდევ ბევრი საჭიროება აქვს დასაკმაყოფილებელი მით უმეტეს აქაც უმრავლესობას მხოლოდ შეუძლებელთა შვილები შეადგენენ.

ორივე საკითხი საყურადღებოა და მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლა-განათლებასთან, მერე განსაკუთრებით იმ მოქალაქეთა ღარიბ წრესთან, რომელთა შვილებსაც, სხვა სასწავლებლების გარედ დატოვებულთ, ეს ორი ქართველის და სომხის სკოლები იფარებენ თავის კალთების ქვეშ.

ამისათვის ქალაქის ახალ მამებსაც ჰმართებთ სავსებით გაითვალისწინონ მთელი ამ საკითხების მნიშვნელობა და ისე გადასწყვიტონ საქმე. **დავიწყებული.**

# დიმიტრი ყიფიანის

**სახლ-კარის შეძენის გამო.**

შარშან 1911 წ. მაისის თვეში ტფილისის თავადაზნაურობის ერთმა ჯგუფმა წინადადება წარუდგინა გუბერნიის მარშალს, რომ მას თავადაზნაურთა კრებაზე აღეძრა საკითხი დიმიტრი ყიფიანის სახლკარის და სამოსახლო ადგილის შეძენაზე თავად-აზნაურობის საკუთრებად.

ამ წინადადებას ეს ჯგუფი ასაბუთებდა იმით, რომ დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად ჯერ არაფერი არ გაკეთებულა და იმისი სახლკარის და სამოსახლოს შეძენა და იქ დაარსება რამე საკულტურო დაწესებულებისა—საუკეთესო ფორმა იქნება მისი სახელის უკვდავ საყოფელად.

თავად-აზნაურობის საზოგადო კრებას მოხსენდა ჯგუფის ეს წინადადება, კრებამ მიიღო ის და თავის მხრივ დაავალა დეპუტატთა საკრებულოს, რომ მას დაწვრილებითი ცნობები შეეკრიბა დიმიტრი ყიფიანის სამოსახლო ადგილის შესახებ და მეორე წლის კრებაზე მოეხსენებინა.

დეპუტატთა საკრებულომ თავის მხრივ ეს საქმე დაავალა საადგილმამულო კომისიას და კომისიამ კიდევ ქართულ სამეურნეო საზოგადოებას.

სამეურნეო საზოგადოებამ წარსულ ზაფხულს გაგზავნა სოფელ ქვიშხეთს სამის პირისაგან შემდგარი კომისია, სახლ-კარის ადგილობრივ დასათვალიერებლად და შესაფასებლად და აგრედვე დიმიტრი ყიფიანის მემკვიდრეთა შესაკითხავად — დაუთმობდნენ თავად-აზნაურობას სახლ-კარს თუ არა, ან რა პირობებით. კომისიამ დაათვალიერა ადგილი, შეაფასა, მემკვიდრეთაგან მიიღო თანხმობა და პირობები შეძენისა დ ვრცელი მოხსენება გადასცა საადგილ-მამულო კომისიას. ამ ჟამად ეს მოხსენება არის დეპუტატთა საკრებულოში, რომელიც საზოგადო კრებამდის განიხილავს ამ საკითხს, რომ კრებას თვისი გარდაწყვეტილება წარუდგინოს დასამტკიცებლად.

მოხსენებაში რამდენიმე აზრია შეტანილი, თუ როგორი ფორმით შეიძლება უკვდავ-ჰყონ შეძენილ მამულში დიმიტრი ყიფიანის ხსოვნა.

# მცირე შენიშვნა.

ჩემი ნაწერების გამომცემლების საყურადღებოდ ვწერ ამ შენიშვნას, რომ დღევანდელი შეცდომა არ გამეორდეს: ბ. ივ. გომელაურმა დაბეჭდა ცალკე წიგნაკად ჩემი სამი საყმაწვილო მოთხრობა სათაურით „სამი საყმაწვილო ამბავი". აქვე ჩაურთავს ჩემი ბიოგრაფია, სადაც ბლომად შეცდომები შეჰპარვია პატივცემულ გამომცემელს. საჭიროა ამ შეცდომების შესწორება: თუ ბიოგრაფია იწერება უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემ სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემ სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ.

მე დავიბადე სოფ. ჩარგალში 1862 წ. 15 მაისს. არა დროს მე ჩემ სოფელში სასწავლებელში არ მისწავლია და არც მასწავლებლად ვყოფილვარ. პირველად მამაჩემმა მიმაბარა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მესამე კლასიდან მე შევედი ტფილისის სამოქალაქო სკოლაში, რომელიც ინსტიტუტთან არსებობს. სამოქალაქო სკოლაში რომ დავასრულე კურსი შემდეგ გორის სემინარიაში შევედი. როცა იქაც სწავლა დავამთავრე დამნიშნეს მასწავლებლად ტოლად სოფელში (ერწოში), სადაც ერთი წელიწადი დავყავი და შემდეგ პეტერბურგში წაველი უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად... დანარჩენ ცნობებზე, რაც ბ. ივ. გომელაურსა აქვს მოყვანილი ჩემს ბიოგრაფიაში, არაფერი მეთქმის.

**ვაჟა-ფშაველა.**

# მოწერილი ამბები

**ს. ლიხეთი** (რაჭა) ეს სოფელი მდებარეობს ოსეთის სამხედრო გზატკეცილიდან 8 ვერსის მანძილზე და არის შემოზღუდული ტყიანი სერებით ანუ გორეებით. ამ სოფლის მკვიდრნი მისდევენ მიწისა და ხეტყის მუშაობას.

ეს სოფელი ტყითა და საბალახით მდიდარია. თუმცა წარსულ წელში რამოდენიმე ამ სოფლის მებატონისაგან კარგი ნაძვნარიანი მთა შეიძინა ბ. ჩილინგაროვმა, მაგრამ ამით გლეხები არ შეფერხებულან. აქაური გლეხები ვენახების გაშენებასაც არ გაურბიან, ღვინო მდარე და მომჟავო მოდის. უხსოვარ დროიდან ამ სოფელში ყოველწლივ დღესასწაული იციან „ახალ კვირა", (აღდგომის სწორი), რომელ დღესაც ხალხის უმეტესობა ითრობა. რა თქმა უნდა თრობა-ლოთობას ჰყვება ყოველი ბოროტება. წელსაც ამ დღესასწაულზე სიმთვრალემ ორი წვრილ ცოლშვილის პატრონი ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლა. სადილის შემდეგ ღვინით გალეშილი ხალხი სათამაშოდ შეკრებილა, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი პეტრე ლობჯანიძე და ალექსი ტოროშელიძე ერთმანეთს შებრძოლებიან, პირველს მეორე რევოლვერით მოუკლავს, ხოლო მოკლულის ძმას მოუკლავს ლობჯანიძე. **აქაური.**

**ს. ქვემო ალვანი** (კახეთი). ეს ხუთი დღეა განუწყვეტლად წვიმს, თუშები დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ცხვარი რომელიც აჰყარეს შირაქის საზამთრო ბინებიდან და აპირებდნენ საზაფხულო მთებში გარეკვას, ცუდმა ამინდემა ხელი შეუშალა, თუშეთის მთები ხელმეორედ თოვლით შეიმოსა და ყოველ დღე განუწყვეტელად თოვს, ორ წყალშუა დარჩენილმა ხალხმა არ იცის რას უშველოს, რადგანაც ალაგის სივიწროვემ ცხვარი ძლიერ შეაწუხა. 22 აპრილს საღამოს ოთხს საათზე ასტყდა საშინელი ელვა ქუხილი, სახლში მიმავალს ივანე აბაიძეს ასულს ელისაბედს 5 წლისას დაეცა მეხი და იქვე დალია სული.

**ალვანის მღ. ა. ფოფხაძე.**

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**მოკლე ქართული გრამატიკა**

შედგენილი და გამოცემული ქუთაისის სასულ. სასწ. მასწავ. ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს ქართულს სახელმძღვანელოებს, მას უეჭველად წაკითხული და გაცნობილი ექმნება მოკლე ქართული გრამატიკა ანდრია სიმ. ბენაშვილისა. რომელიც გამოვიდა 12 ენკენისთვეს 1894 წელს. ამ მოკლე, მაგრამ მეთოდიურად შედგენილს სახელმძღვანელოს დღემდის ხმარობდნენ ჩვენს დაბალსა და ზოგიერთა საშუალო სასწავლებლებში. დღეს კი რაღაც მიზეზით, თუ უმიზეზოდ განდევნილია ეს სახელმძღვანელო არა თუ საშუალო სკოლების დაბალს კლასებიდან, არამედ სამოქალაქო და სახალხო სკოლებიდანაც, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასეთი მოკლე ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო უნდა შედიოდეს სამოქალაქო და სახალხო სკოლების პროგრამაში. ბენაშვილის მოკლე ქართული გრამატიკა განიყოფება ორ ნაწილად: ლექსთ-წარმოებად (ეთიმოლოგია) და ლექსთ-თხუზულებად (სინტაქსი). ეს ორივე ნაწილი ერთ პატარა წიგნად არის გამოსული. ენის მხრივ, ეს გრამატიკა სხვა გრამატიკებს ოდნავადაც არ ჩამოვუარდება. წიგნის პირველ გვერდზე ახსნილია გასაგებად ბავშვებისათვის, თუ რა არის გრამატიკა, საგანი და მათი დაყოფა, შემდეგ ახსნილია სიტყვის ნაწილები მოკლედ და გაგებით ყველა სიტყვის ნაწილს თან ახლავს მაგალითები; სიტყვები და წინადადებანი, რომლის გავლის შემდეგ მოწაფენი თვითონ იგონებენ ყოველ სიტყვის ნაწილზე მაგალითებს. ამ სახელმძღვანელოს მერვე სტრიქონიდან იწყება ყველა სიტყვის ნაწილების გარჩევა, და ამ გარჩეულ სიტყვის ნაწილებსაც თან ახლავს მაგალითები. სიტყვების კანკლედობა და მიმოხვრა საკმაოდ არის წიგნში. მართლ-წერის კანონებიც არის ახსნილი. გათავდება, თუ არა წიგნის ერთი ნაწილი (ეთიმოლოგია) იქვე მოთავსებულია მაგალითები ეთიმოლოგიურად გარჩევისათვის, შემდეგ გადახვალთ წიგნის მეორე ნაწილზე რომელსაც იპყრობს სინტაქსი. გრამატიკის ეს ნაწილიც მეთოდიურად და მარტივად არის შედგენილი. მოთავსებულია და გარჩეული წინადადების ყველა ნაწილები. ყველა წინადადების ნაწილს და მისს გარჩევას თან ახლავს მაგალითები გასარჩევად. მაგალითად, ახსნილია მოკლედ სახელმძღვანელოში წინადადებანი: მოკლე, ვრცელი, მარტივი, გაერთებული, რთული, აგრედვე მთავარი წინადადება და დამოკიდებული, ჩართული სიტყვები და ჩართული წინადადება, შემოტანილი წინადადება, მიმართვითი და მიმატებითი სიტყვები. დასასრულ, წიგნის, 40 გვერდზე მოთავსებულია მართლწერის ნიშნები და მათი ხმარება.

ამ მცირე რეცენზიით ვათავებ ამ სახელმძღვანელოს განხილვას. კარგი იქმნება, თუ ამ სახელმძღვანელოს ღირსება-ნაკლულევანების შესახებ ჩვენი ქართველი პედაგოგები ორიოდე სიტყვას იტყვიან. ჩემის აზრით ამ სახელმძღვანელოს შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს სამოქალაქო და პირველ დაწყებით სახალხო სკოლებში. სახალხო სკოლის მესამე წლიდან რომ დაიწყოს მასწავლებელმა ამ გრამატიკის სწავლება, მესამე და მეოთხე განყოფილებებში გავლას მოასწრებს. მეხუთე განყოფილებაში კი მთლად განიმეორებს ორივე ნაწილს. ასე რომ, სახალხო ერთკლასიან (ოთხი განყოფილება), ან ორკლასიან სკოლას, (ხუთი განყოფილება) რომ მოწაფე დაამთავრებს, მას მოკლედ ექმნება შესწავლილი ქართული გრამატიკა (ეთიმოლოგია და სინტაქსი). ამიტომ ურჩევ სახალხო სკოლების მასწავლებელთ შემოიღონ ეს სახელმძღვანელო თავიანთ სკოლებში; აგრედვე კარგი იქმნება, თუ ქ. შ. წ. კ. გ. სა-

ზოგადოება შეიტანს ამ სახელმძღვანელოს თავისს სკოლების პროგრამაში. **არისტოკლე რამინიშვილი**

# პარიზის ყაჩაღები

„რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილია პარიზში მოკლულ ყაჩაღ ბონოს ანდერძი; იგი სწერს:

„ჩემი სახელი მთელმა ქვეყანამ იცის. შეიძლება ბევრსაც ვნანობდე, მაგრამ რა ვუყოთ, სიცოცხლე მინდა... განვაგრძობ, ვიდრე შემეძლება... მით უარესი თქვენთვის“.

ანდერძი ალბად სროლის დროს დაუწერია.

ბონო ანარქისტების გაზეთის რედაქტორის რეიჰმანის ნამოწაფარია. რეიჰმანი დიდხანს სცხოვრობდა პარიზში და ბევრი მომხრე შეიძინა. მისი ლოზუნგი იყო: ჩვენი კუთვნილი ცხოვრების წილი ძალით უნდა ვიკუთვნოთ. წაართვით ყველაფერი ბურჟუებსა. როგორც შეიძლოთ ისე მოიქეცით: მოსჭერით ყალბი ფული, გაძარცვეთ, მოჰკალით, გადაბუგეთ... აი, ნამდვილი „ანარქიზმი“ ეს არის, იდეალიზმი ღვარძლისაგან განწმენდილი: იცოცხლეთ და დასტკბით!

რეიჰმანის საქმე გამოაშკარავდა—იგი საერთაშორისო მაძებარ პოლიციის წევრი აღმოჩნდა.

შემდეგ ასპარეზზე გამოსულა ალფრედ ფრომანტენი, ძლიერ მდიდარი ადამიანი. ფრომანტენს გამოუცია ყაჩაღ კარტუშის თავგადასავალი და ნაყოფიც მალე უნახავს. კარტუში ვითომ რითი სჯობია ბონოსა?

ყაჩალებს დიდი ორგანიზაცია ჰქონიათ, მოწყობილი. ბევრი თურმე ვაჭრობას მისდევდა და სავაჭროები, რასაკვირველია, გაჭირვების დროს თავშესაფარადაც გამოდგება. ყაჩალთა ბრბოს ხელში ჩაუვარდებოდა ხოლმე აქციები, ობლიგაციები... ჰყავდათ ქიმიკოსები და გამოცდილი, საქმის მცოდნე ოქრომჭედლები. ისინი ციფირებს გადაასწორებდნენ ხოლმე, ყალბ ფულსა სჭრიდნენ. ერთი სიტყვით, ყოველიფრით მოწყობილი ორგანიზაცია ჰქონიათ ყაჩაღებსა. ბრბოში თავი მოეყარა ყველა ჯურის ადამიანს, ზნედაცემულსა და გზადაკარგულ ახალგაზდებსა. რასაკვირველია გამცემიც ბევრი იქნებოდა.

ამბობენ, ერთს ყაჩალთაგანს გაუცია ყველანი და თავი ამითი გადურჩენიაო. შანტილიში მომხდარ ექსპროპრიაციის შემდეგ, მთავრობამ დამნაშავეთა აღმოსაჩენად ასი ათასი ფრანკი გადისდო, ალბად ამან თუ წაახალისა გამცემი.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები**

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობით, კუნძულ როდოსზე, როდოსის მეციხოვნე ჯარი ხვრელებში სხედს და იტალიელებს წინააღმდეგობას უწევს.

პორტა ოტომანის ბანკის საშუალებით სცდილობს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი ისესხოს.

**ბერლინი.** სტამბოლიდან გერმანიის ელჩის მარშალ ფონ-ბიბერტეინის უკან დაბარებას ზავის ჩამოსაგდებად დაწყებულ მოლაპარაკებას აწერენ. „კელნიშე-ცაიტუნგი“ ამ ხმას უარჰყოფს.

# ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები**

**მუკდენი.** გენერ.-გუბერნატორი ჩჟაოერსუნი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს საქმე 20 ბატალიონის შენახვისა. ეს ბატალიონი რევოლუციის დროს შეუდგენიათ წესრიგის დასაცველად. ჯამაგირის მიუცემლობა ხიფათში აყენებს მთავრობას: უჯამაგიროდ დაითხოვოს ჯარი, უფრო უარესია.

**ლონდონი.** ტიბეტელები თუ ჩინეთის მთავრობას მორჩილების არ განუცხადებენო, იუწყება „ტაიმსი“, საშინელი რეპრესიები დაიწყება ლხასში. ინგლისელები, წინანდებურად, ვერაფერს უშველიან ტიბეტელებს.

**პეკინი.** ჩინეთის სესხისათვის შემდგარი კონსორციუმი სესხის საქმეს ჯერ-ჯერობით აბრკოლებს, რადგანაც ჩინეთი არ დათანხმებულა, რომ ამ ფულის ხარჯვის დროს კონტროლს კონსოსიუმში მონაწილე სახელმწიფონი გასწევენ.

ამ საკითხის თაობაზე მომხდარმა კონცესიუმის თათბირმა გადასწყვიტა, უსათუოდ მოითხოვოს ამ მუხლის შესრულება ჩინეთის მიერ.

# არეულობა სპარსეთში

**დეპეშები**

**თეირანი.** აყბულაყის მახლობლად ფერმან-ფერმას ჯარი დაამარცხეს. იგი ხამადანში დაბრუნდა. ხმა დადის, ამ რაზმის იარაღი და ზარბაზნები მეამბოხეთ ჩაუვარდათ ხელშიო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

24 აპრილი.

**პარიზი.** პუანკარე ეთათბირა გენერალს ლიოტესა და სამხედრო მინისტრ მილერანს. შემდეგ დეპეშით აცნობა რენიოს: მულა-გაფიდი დაითანხმე როგორმე, რომ რაბათში არ წავიდესო. მთავრობამ გადასწყვიტა გენერალ მუანიეს მაშველად სამი ბატალიონი გაუგზავნოს.

**ბერლინი.** „ნაციონალ-ცაიტუნგ“ მოწინავე წერილში ამბობს: რუსეთის სახელმწიფო ფინანსები გაოცებას იწვევს. განსაკუთრებით მკვიდრ ნიადაგზე სდგას სარკინიგზო ფინანსები. რუსეთმა ინგლისისაგან შეითვისა ის პოლიტიკა, რომ სამინისტრო პოლიტიკის დედა-ძარღვი ფინანსიური მდგომარეობაა. რუსეთი გლადსტონის ხანას განიცდის. გაზეთები სწერენ, გერმანელები რუსეთში თანხის დაბანდებას არ უნდა ერიდებოდნენო. რუსეთს შეუძლიან ვალების განაღდება, ამის დამადასტურებელია რუსეთის ფინანსების წინ-სვლაო,

**სტოკჰოლმი.** ჯავშნოსნის ასაგებად ხალხში გამართულმა ხელისმოწერამ 13 მილიონ კრონზე მეტი მისცა, ეს საჭირო თანხას აღემატება. ამის გარდა 5 მილიონი კრონი სხვა შეაგროვეს.

**კონაკარი** (საფრანგეთის გვინეა) თავი მოჰკვეთეს თემის ბელადს, რომელმაც შარშან ორი ფრანგი აფიცერი მოჰკლა.

**პარიზი.** სამეცნიერო აკადემიაში მეჩნიკომა პასტერის ინსტიტუტში ნაცად სახადის აცრაზე მოხსენება წაიკითხა. მისი ცდა ნაყოფიერი ყოფილა. საცრელი ჩირქი ცოცხალ ბაცილებიდან დაუმზადებია.

**პარიზი.** აკურთხეს რუსეთ-საფრანგეთ-ბალკანეთის ბანკი. დაესწრნენ ბულგარეთის ელჩი, რუსეთის ფინანსთა სამინისტროს აგენტი და საფინანსო წრის წარმომადგენელნი.

**ჩიკაგო.** ათუმცა ტიპოგრაფიის მუშები გაფიცულნი არიან, მაგრამ გაზეთები მაინც გამოვიდა. ჩიკაგოს მიდამოებში გაზეთებს პოლიციის მფარველობით ატარებენ.

**მექსიკა.** მთავრობის ჯარმა მოჰკლა 600 მეამბოხე, 1500 გაჰფანტა.

**ლისაბონი.** ფეიქრებს პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. რამდენიმე დაიჭრა. ერთი მოჰკლეს. ბევრი დააპატიმრეს. ფეიქართა უსტაბაშიც დაიჭრა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში სოც.-დემოკრატი ზეიცი სასტიკად ჰკიცხავს გერმანელ პარტიებს. მან, სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრი გოხენბურგერიც შეურაცჰყო. გერმანელი დეპუტატები გულმხურვალედ გამოესარჩლნენ მინისტრს. ზეიცის სიტყვამ კინკლაობა გამოიწვია გერმანელ დეპუტატებსა და სოციალ-დემოკრატებ შუა. ერთმანეთს შეურაცხყოფა მიაყენეს. თავმჯდომარემ ურჩია, კამათის გადასაწყვეტად კომისია აირჩიეთო.

**ბუდაპეშტი.** სერბ-ხორვატიის კოალიციის დეპუტატმა პოპოვიჩმა, დეპუტატთა პალატაში, განაცხადა: სანამ კომისარიატი სუფევს, ხორვატელნი მთავრობას ნდობით ვერ მოეკიდებიანო.

**რუსეთი**

**სახალინი.** დილით ორჯერ ძლიერად იძრა მიწა.

**ხარბინი.** საბირჟო კომიტეტმა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა აღმოსავლეთ-ჩინეთის სარკინიგზო ლიანდაგის ფარგალში მოსახლე რუსობას სახელმწიფო სათათბიროში ცალკე წარმომადგენელის არჩევის უფლება მიანიჭონ.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიზრახა 12 ათასი მანათი გადასდოს შავ-ზღვის ნაპირებზე დამპალ ციების გამოსაკვლევ ექსპედიციის გასაგზავნად.

**შემახა.** სეისმოგრაფმა აღნიშნა რომ ღამით ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა.

**ბრესლავლი.** სეისმოგრაფმა აღნიშნა, რომ 2600 კილომეტრის მანძილზე მიწა იძრა.

**კურსკი.** თავად-აზნაურთა კრებამ სახ. საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია სათათბიროს დეპუტატი მარკოვი მეორე და თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბოგდანოვი.

კურსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წრემ პურიშკევიჩი მიიღო.

**პეტერბურგი.** „შკოლა ი ჟიზნის“ რედაქტორი ქალაქის უფროსმა 300 მანათით დააჯარიმა.

**მინსკი.** ბროდიცის ვოლოსტის გლეხები ტყის მცველის მიწას დაეცნენ. სროლის დროს ერთი გლეხი მოჰკლეს, ხუთი დასჭრეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ლვოშინს ერთის თვით საზღვარ-გარედ წასვლის ნება მისცეს.

# თეატრი და ხელოვნება

**ტფილისის ქართული დრამატიული დასის მოგზაურობა.** ამ თვის დამლევიდან დასავლეთ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებს ესტუმრებიან თითო-ოროლა წარმოდგენით ქართული სცენის მსახიობნი მარ. საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ტასო აბაშიძე და სხვანი. დასი შესდგება თორმეტ-თოთხმეტი პირისაგან. რეპერტუარი ჩვენი ორი ახალგაზდა დრამატურგების პიესებია: „მეგობრობა“ შიუკაშვილისა, „გამცემი“ გედევანიშვილისა, „პეპო“ სუნდუკიანცისა, „პარიზელი ბიჭი“ ბაიარისა და ვოდევილები. დასს სათავეში უდგას ვალერიან გუნია.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცელზე.

ქ. პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობის ერთმა ჯგუფმა განიზრახა გამოსცეს ქართულად მხოლოდ სტუდენტების ნაწარმოებთა კრებული,

ჩვენ აქ არ შევუდგებით ასეთ კრებულის საჭიროების მტკიცებას; არც იმით მოვაბეზრებთ მკითხველთ თავს, თუ რა მოსაზრებებს ვხელმძღვანელობდით ასეთ გადაწყვეტილების მიღების დროს, რადგანაც ვინც ამ თავითვე არ თანაუგრძნობს ამ აზრს; იმისი რწმუნება საჭიროდ არ მიგვაჩნია. ამიტომაც ვაწოდებთ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზდობას, ვისაც უდროოდ, უაზროდ და უმიზნოდ არ მიაჩნია სერიოზულ სალიტერატურო და სამეცნიერო კრებულის გამოცემის, და სწორედ სტუდენტების კრებულის ამ მოკლე ცნობას, და მოვუწოდებთ დახმარებისათვის. კრებული არ იქნება რომელიმე განსაზღვრული მიმართულებისა. მის ფურცლებზე ადგილი დაეთმობა ყოველგვარ თხზულებას (ორიგინალურს), თუ კი იგი დააკმაყოფილებს პირუთვნელ კრიტიკის მოთხოვნილებას.

თანამედროვე ჩვენს პრესაში თითქმის სულ სადღეისო და საჭირბოროტო საკითხებს უნდებიან და ზოგჯერ მოუხერხებელია ვრცელი რაიმე ნაწარმოების ბეჭდვა. გამოცემის საქმეც არ არის ადვილი ჩვენში და აი, ჩვენი კრებული ამ მხრით დიდს სამსახურს გაუწევს ახალგაზდას თავისი გულის ნადები და გონების ნაყოფი მკითხველსაც გაუნაწილოს.

კრებული წაახალისებს ახალგაზდობას გონებრივ შრომისა და მწერლობისათვის და ამავე დროს ერთგვარი საზომი იქნება სტუდენტობის გონებრივი ავლადიდებისა.

ჯგუფმა აირჩია სარედაქციო კომისია და მიანდო მასალების მოგროვება, მოწესრიგება და გამოცემა ტფილისში 1913 წლის იანვრისათვის. მასალების გამოგზავნა ყოველთვის შეიძლება, რადგანაც თუ პირველ ნომრისათვის დაგვიანდება, შემდეგ ნომრებისთვის გადაიდება; თუ ვინიცობაა მოგებაც დარჩება ეს მიემატება იმ ფონდს, რომელსაც ჯგუფი დაარსებს შემოწირულებათაგან, რეფერატებით, წარმოდგენებით და სხ. სარედაქციო და გამომცემელი კომისია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს წევრთა კრებას, რომელიც იკრიბება პეტერბურგში უფრო ხშირად და ტფილისში კი წელიწადში ერთხელ მაინც. საწევრო გადასახადი წელიწადში სამი მანეთია. მისამართი: პეტერბურგი. პოდოლის ქუჩა № 37 ბინა 15. სამსონ დადიანს.

სარედაქციო კომისიის წევრები: **პ. ქავთარაძე, ს. ქავთარაძე, ნ. ყიფშიძე, ა. ასათიანი, ს. დადიანი.**

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა ვუძღვნა ქ-ნ სოფიო პეტრესასულს ეპიტაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდამი რწმუნებულ სკოლის ბიბლიოთეკას შემოსწირა საჭირო წიგნები.

მარტყოფის სკოლის გამგე **ალ. ლეჟავა.**

ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას.

ჩემდა სამწუხაროდ, დროს უქონლობა და სხვა და სხვა გარემოება იძულებულ მყოფს გამოვიდე თქვენს გამგეობიდან.

რადგანაც თითქმის ვერც ერთ მიმდინარე კრებებს ვერ დავესწრები და არც ჯეროვანი სამსახურის გაწევა შემიძლიან ხსენებულ საზოგადო დაწესებულებისა, ამისათვის გთხოვთ დღეის შემდეგ ნულარ მიგულებთ წევრად გამგეობისა.

პატივისცემით **გ. ქუჩიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საავარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო, შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეხვდებიან—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12^{1/2}$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^{1/2}$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^{1/2}$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ,
**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ,
**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.
**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.
**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.
**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.
**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლატეასტურ საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ ტფილისში ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური“ ტელ. 682.


# განცხადებანი

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარებ. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос- Симов вой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.1)

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—47)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

| | მ. კ. |
|---|---|
| ვეფხის ტყაოსანი, საუკეთესო გამოცემა, | 10—65 |
| თამარიანი, გუგუნავასი. | 50 |
| ყაზბეგის სრული თხზულ. | 3—50 |
| გაბაშვილი ე. თხზულებ. | 1—20 |
| ნინოშვილის თხზულებანი | 1—50 |
| რჩეული პედაგ. და პუბლიც. | |
| ნაწერები ი. გოგებაშვილისა | 1— „ |
| რანი ვიყავით გუშინ? მისივე. | 20 |
| საარაკო თავგად. ტახტის მემკვიდრისა, მისივე. | 10 |
| ცხოვრება გიორგი ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა | 3— „ |
| ძველი საქართველო, ტ. I, საისტორიო საზ. გამოც. | 3—50 |
| საქართ. სიძველენი ტ. II, მისივე | 3—50 |
| „ ტ. III, „ | 3—50 |
| ბრძოლა... ანუ გიორგი საააკაძე და მისი დრო, ან. ფურც. | 1— „ |
| ქართ. ცხოვრ. მარ. დედ. ვარ. | 4— „ |
| ქართვ. ერის ისტორია. ივ. ჯავ. | 80 |
| საქ. ეკონომ. ისტორია, მისივე | 40 |
| ქართვ. მეფე და მისი უფლებ. ისტორია მისივე | 15 |
| Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турціи. Натроева | 1— „ |
| Культурная роль Иверіи въ исторіи Руси Еп. Киріона. | 3— „ |
| **ახლად მიღებული წიგნები:** | |
| ეტიუდები მე-XIX საუკ. ქართ. ლიტერატ. შესახ. კ. აბაშიძე | 70 |
| ექსპერიმენტ. პედაგოგიკ., უზნაძ. | 75 |
| გამცემი, 3 მ. დრ. გედევანიშვ. | 25 |
| დალი, 3 მ. დრ., გლახაშვილისა | 20 |
| დრამ. და კომედ. I, „სორ.“ გამ. | 1— „ |
| **სურათები:** აკაკისა | 50 |
| „ ფერადი | 40 |
| ილიასი | 50 |
| თამარ დედოფლისა | 1—50 |
| ე. გაბაშვილისა | 35 |
| წმ. ნინოსი (ჯვრის მიღება), ზიჩ. | 15 |
| „ (ანგელოზ. მოჩვენება) ზიჩ. | 15 |
| „ (მაცხოვრის მოჩვენ.) „ | 15 |

ადრესი: Тифл. О-во распростр. грамотн. сред груз насел. (წ. 1141.34)

## ექიმი მ. ზაზუაშვილი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 [illegible]

## ექიმ-ნაგავ-სარ... პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი,** (წ. 1074.38)

## უდიდესი საჩუქარი

**მთელს სიცოცხლეში ერთხელ !!!**

**600 ნივთი მხოლოდ 5 მ.**

1. **მშვენიერი საათი-ანკერ** სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით.
2. **საუცხოო საქალებო ბეჭედი,** ამერიკულ ბრილიანტით.
3. **ჩინებული მანიაკი,** მრავალ ფერმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ. შესაკრავით.
4. **მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური** ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, მშვ. ამერიკ. ბრილ.
5. **ჯიბის ლამაზი „ნესესერი“** [illegible] ნივთით.
6. **ერთი წყვილი საყურე** საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი.
7. **მშვენიერი და ლაზათიანი ტყავის** საფულე.
8. **ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით.**
9. **მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა,** თუთუნის მავნებლობის ამცილებელი,
10. **მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი** მშვენიერის ბუდით,
11. და **კიდევ 500 მეტი სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი.**

სულ, 600 ნივთში, საათიანად მხოლოდ 5 მან. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კაპ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву „Меркурій“, Лодзь, М. 5. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ.

Метиль и Ко. 5069. (4—1209—3

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.